ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავჯდომარეს

ბ-ნ გიორგი ალიბეგაშვილს

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ავთანდილ დავითაძის 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „თვითმმართველობის კოდექსი" 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N26-113 დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის შესახებ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ავთანდილ დავითაძის აქტივობა:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი"-ს თავმჯდომარე
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის წევრი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი"-ს თავმჯდომარეობით, საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს რეგლამენტით 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე ჩატარებული მაქვს 9 სხდომა და განვიხილეთ 66 საკითხი.

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს მიერ, 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დავესწარი ჩატარებულ 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 120 ადმინისტრაციულ -

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლოვანი რაოდენობა 4 ფურცელი
10/9710 11.10.17

- სამართლებრივი აქტის (აქედან , 86 დადგენილების და 34 განკარგულების პროექტს) განხილვა - მიღების პროცესში.

როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე საკრებულოში მივიღე 25 მოქალაქე, რომლებსაც აღმოვუჩინე სხვადასხვა დახმარება ჩემი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში.

აგრეთვე მივიღე, განვიხილე და რეაგირება (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე) განვახორციელე ფიზიკური და იურიდიული პირების 5 (ხუთი) განცხადება/წერილზე.

სოციალური თემატიკას განეკუთვნებოდა 4 (ოთხი) განცხადება-წერილი, აქედან 3 დადებითად გადაწყდა და დაკმაყოფილდა, ხოლო ერთს ეთქვა უარი, ვინაიდან ბოლო დაფინანსებიდან არ იყო 3 თვე გასული.

გარდა ამისა, ფრაქციაში აქტიურ რეჟიმში იქნა განხილული თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია :

- თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა
- გარემოსდაცვითი მმართველობისა და ინსტიტუციური მართვის გაძლიერება და მათი შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი სტრატეგიის პროექტს მხარი დაუჭირა ფრაქციამ.

ასევე აქტიურად ვთანამშრომლობ მას - მედიის წარმომადგენლებთან , რადგან მიმაჩნია რომ დედაქალაქის წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში , საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იყოს ჩართული . ამ მიზნით, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრს , 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე , მონაწილეობა მაქვს მიღებული - სტუმრად მედია - კავშირ „ობიექტივზე“

- როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი 2016 წლის 1 ნოემბრიდან დეკემბრის ბოლომდე ჩატარებული 3 სხდომიდან და შესწავლილი 24 საკითხიდან დავესწარი ყველას.

- როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან
- როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან დეკემბრის ბოლომდე ჩატარდა 5 სხდომა და განხილული იქნა 30 საკითხი, დავესწარი ხუთივეს .

2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე გაწეული მუშაობის ანგარიში

2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე მე, როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი"-ს წევრმა და თავჯდომარემ ჩავატარე 15 ფრაქციის სხდომა სადაც განვიხილე 96 საკითხი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი"-ს სახელით გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურიდან , აგრეთვე ინიცირებული იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი , რომლის მიღების შემთხვევაში , საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კენჭისყრის შედეგები გამოქვეყნდებოდა პროაქტიულად საჯარო ინფორმაციის სახით, რაც უზრუნველყოფდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის , ასევე, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალეობის მაღალ ხარისხს.

2017 წლის იანვრიდან დღემდე მივიღე 60-მდე მოქალაქე სხვადასხვა პრობლემებით და შეძლებისდაგვარად დავეხმარე, მათ შორის 3 800 ლარით დაფინანსდა ჩვენი პარტიის წევრის უმძიმესი ოპერაცია , აგრეთვე 1000 ლარით დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილის უმაღლეს სასწავლებლის ანაზღაურება.

- როგორც სარევიზიო კომისიის წევრი 2017 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარდა 10 სხდომა, დავესწარი ყველას
- როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი 2017 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარდა 16 სხდომა, დავესწარი ყველას .

მე, როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს მიერ 2017 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარებული 19 სხდომიდან დავესწარი 16 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 488 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქედან , 68 დადგენილების და 420 განკარგულების პროექტის) განხილვა-მიღების პროცესში.

აქტიურად ვთანამშრომლობ მას-მედიის წარმომადგენლებთან , რადგან მიმაჩნია, რომ დედაქალაქის წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში , საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იყოს ჩართული.

ამ მიზნით, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს- საკრებულოს წევრს მონაწილეობა მაქვს მიღებული სტუმრად მედია- კავშირ „ობიექტივზე", გადაცემაში „თავისუფალი ტრიბუნა" და სხვა .

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი ავთანდილ დავითაძე